„მეფე ერეკლე-ხელნაწერებით გაცოცხლებული ისტორია“

ბროწეულები

მეფე ერეკლე თავის ოთახში ჩაფიქრებული, საქართველოს ბედზე შეწუხებული იჯდა. სასახლეში სიჩუმე იდგა, რადგან ყველამ იცოდა ,როგორ დადარდიანებული იყო მეფე და არავის სურდა მისი შეწუხება.

გარეთ შემოდგომის დილა იდგა. დილაადრიანად ისმოდა გლეხების ფუსფუსის ხმა. არავის ეცალა, ყველა საშემოდგომო სამზადისში იყო. ზოგი სიმინდს აბინავებდა, ზოგი ყურძენს კრეფდა, ზოგი კი უკვე მოკრეფილ ყურძენს, საწნახელში ჩაყრილს, აწურვინებდა პატარებს და ისინიც დიდი მონდომებითა და ხალისი ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს. მთელი დღე შრომობდნენ გლეხები და საღამოს, დაღლილები, ყველა დასაძინებლად ემზადებოდა.

მეფე თავისი ოთახიდან ადევნებდა დამშვიდებულ გარემოს თვალს. კარზე კაკუნი გაისმა და ოთახში ბიჭი შემოვიდა, რომელმაც მეფეს თავისი საყვარელი ქალიშვილის, თეკლა ბიჭის, წერილი გადასცა. ეს ამბავი მოღრუბლულ ცაზე მზის გამოჩენას ჰგავდა, რამაც მეფე სავარძლიდან გახარებული წამოახტუნა, ისე, თითქოს წამებში დაკარგა მეფური სიდინჯე და ბავშვად გადაიქცა. ბიჭს გარეთ დალოდება სთხოვა, თვითონ კი სანთლები აანთო და დაიწყო წერილის კითხვა. ესიამოვნა ნაცნობი ლამაზად მოხაზული ასოები და გახარებულმა სიამაყით განაგრძო კითხვა, ხოლო, როცა დაასრულა, სავარძელს მიეყრდნო და ჩუმად ატირდა. ბოლოს, როცა ოდნავ დამშვიდდა, წერილი აიღო და საგულდაგულოდ სკივრში შეინახა სხვა წერილებთან ერთად, მერე მიუჯდა თავის მაგიდას და დაიწყო წერილის წერა. ,,თეკლას, მამისა და დედის სიხარულს, მადლი წყალობა და მშვიდობა, ღვთისა მიერ“- ასე ლოცვით დაიწო. წერდა, რომ დიდად გაახარა მისმა ლამაზად დაწერილმა წერილმა და უგზავნიდა ბევრ ტკბილეულსა და ახლად დამწიფებულ სასახლის ბაღიდან მოკრეფილ ექვს ცალ ბროწეულს. განა თეკლა ბიჭს არ ექნებოდა ბროწეულები?! მაგრამ როგორ შეეძლო არ გაეგზავნა მისთვის ის ბროწეულები, რომელზეც ბავშვობაში აცოცდებოდა და გემრიელად მიირთმევდა ხოლმე. ტკბილი იყო წარსულის მოგონება!

როცა წერილი დაასრულა, ბიჭს დაუძახა და წერილი იმ საღამოსვე გააგზავნა შვილთან, ხოლო ტკბილეულობა საგულდაგულოდ გაამზადებინა სასახლის მზარეულს, ბროწეულები კი თავისი ხელით დაკრიფა სასახლის ბაღში და ისე გაატანა შიკრიკს თეკლა ბიჭთან.

იმ დღეს უჩვეულოდ მხიარული იყო მეფე...

მილოცვის ავტორი: მარიამ წივწივაძე, სკოლა: სსიპ ხონის
მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა, კლასი: 11